პარლამენტის რეგლამენტის პროექტის შეფასება საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების მიმართულებით

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო პარლამენტის ახალი რეგლამენტის პროექტი, რომლის მომზადება ერთი მხრივ, განაპირობა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, ხოლო მეორე მხრივ, რეგლამენტის დახვეწის, გაუმჯობესებისა და პარლამენტის ინსტიტუციური გაძლიერების საჭიროებამ. ახალი რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული სიახლეები შეეხება როგორც საკანონმდებლო პროცესს, ასევე პარლამენტის მხრიდან ზედამხედველობის განხორციელებას, საკანონმდებლო ორგანოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

მოცემული ბლოგის ფარგლებში წარმოგიდგენთ ცვლილებების შეფასებას პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების მიმართულებით.[1]

კანონპროექტი, ინიციატორი

საკანონმდებლო ინიციატივა: კანონპროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“

ინიციატორები: ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, ირინე ფრუიძე, გიორგი კახიანი, ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, მამუკა მდინარაძე, არჩილ თალაკვაძე, ირაკლი სესიაშვილი, ირაკლი ბერაია, გურამ მაჭარაშვილი.

კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციაში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების ასახვა პარლამენტის რეგლამენტში, ხოლო მეორე მხრივ მოქმედ რედაქციაში არსებული რიგი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა. როგორც განმარტებით ბარათში ინიციატორები უთითებენ, *„არსებული ნორმები გათვლილია მეტწილად დაჩქარებულ საკანონმდებლო საქმიანობაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ ხარისხიან კანონშემოქმედებას. პარლამენტის საზედამხედველო და სხვა ფუნქციები არაერთგვაროვნად და არასისტემურადაა მოწესრიგებული, რაც ხშირ შემთხვევაში მათ სრულ უფუნქციობას იწვევს“.*

რეგლამენტის ინიცირებული პროექტი სისტემატიზირებული და ზოგიერთ შემთხვევაში განახლებული სახით აწესრიგებს პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ასპექტებს. პროექტში საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებას ცალკე თავი ეთმობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად სიახლეებს: პარლამენტის წევრის კითხვისა და შეკითხვის, ინტერპელაციის, პრემიერ-მინისტრის მოხსენების, პრემიერ-მინისტრის ანგარიშის წარდგენის წესის, თანამდებობის პირების სავალდებულო მოწვევის, თემატური მოკვლევის ჯგუფის, დროებითი საგამოძიებო კომისიის მარეგულირებელი ნორმების ცვლილება.

1. ნდობის გამოცხადება

ნდობის გამოცხადების პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე **საარჩევნო სუბიექტი** მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან **5 დღის ვადაში** პრეზიდენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან **7 დღის ვადაში** წამოაყენებს მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი **7 დღის ვადაში** შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.	პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, ან პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან **2 კვირის ვადაში** ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. პარლამენტს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილი მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა უნდა წარედგინოს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, ან პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან **არაუგვიანეს მე-9 დღისა**.

2. უნდობლობის გამოცხადება[2]

უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის ინიციატორები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის სიითი შემადგენლობის[3] არანაკლებ 2/5. უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღძრულად ჩაითვლება პარლამენტის სიითი შემადგენლობის **ნახევარზე მეტის** მხარდაჭერის შემთხვევაში.	პარლამენტის სრული შემადგენლობის[4] 1/3 ზე მეტი.

უნდობლობის გამოცხადების პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შემდეგ პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/5 ასახელებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. პარლამენტი კენჭს უყრის პარლამენტის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენას. პრეზიდენტი უფლებამოსილია წამოაყენოს წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა ან უარი განაცხადოს ამ კანდიდატურის წამოყენებაზე.[5]	უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად პარლამენტს ერთდროულად წარედგინება ინიციატორების მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა. თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება.

3. სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში

პრემიერ-მინისტრის მიერ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ვადა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომების პირველივე კვირაში	წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში

სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ რიგგარეშე ანგარიშის წარდგენა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტს შეუძლია მოითხოვოს **მთლიანი სამთავრობო პროგრამის** შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში.	პარლამენტს შეუძლია მოითხოვოს **სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების** მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

რიგგარეშე ანგარიშის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს **კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე,** პლენარულ სხდომაზე **დამსწრეთა ხმების უმრავლესობით,** მაგრამ **არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ¼-სა**	ანგარიშის წარდგენის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს **კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე**, პლენარულ სხდომაზე **პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით**.

ყოველწლიური და რიგგარეშე ანგარიშის განხილვის ფორმატი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის განსაზღვრული	პრემიერ-მინისტრი წერილობით ანგარიშთან ერთად წარადგენს ზეპირ მოხსენებას. განხილვის შემდეგ იმართება პოლიტიკურ დებატები.

ყოველწლიური და რიგგარეშე ანგარიშის განხილვის შედეგი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის განსაზღვრული	განხილვის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს დადგენილება.

4. პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა, ინტერპელაცია

პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა, ინტერპელაციის განმარტება და გამიჯვნა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით ან შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს. **კითხვა** უნდა იყოს წერილობითი სახის და მას წერილობითი სახით გაეცემა პასუხი. **შეკითხვა** (ფრაქციის ან 10 წევრის დასმული) შესაძლებელია იყოს ზეპირი და წერილობითი. ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ სამთავრობო საათამდე არა უგვიანეს 14 დღისა. წერილობითი შეკითხვა შეიძლება წარდგენილ იქნეს სამთავრობო საათის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა. წერილობითი შეკითხვის ტექსტი ბარდება პარლამენტის აპარატს, რომელიც აღრიცხავს მას და გასცემს წერილობითი შეკითხვის მიღების დამადასტურებელ ცნობას.	პარლამენტის წევრი უფლებამოსილია **კითხვით მიმართოს** მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას ან **ინტერპელაციის წესით** შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს. **კითხვა** უნდა იყოს წერილობითი სახის, და მას წერილობითი სახით გაეცემა პასუხი. **ინტერპელაცია** - პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, **შეკითხვით** მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. შეკითხვის უნდა იყოს წერილობითი, მისი შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. შეკითხვას შეიძლება ერთვოდეს *განმარტებითი ფურცელი.* შეკითხვას პასუხი გაეცემა ზეპირად, პლენარულ სხდომაზე.

პარლამენტის წევრის კითხვის თემატიკა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის განსაზღვრული	კითხვის შინაარსი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მაქსიმალურად კონკრეტულად და მკაფიოდ და *შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს.*

პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხის გაცემის პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამის თანამდებობის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს 10 დღით.	თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს სრული წერილობითი პასუხი. შესაბამის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს 10 დღით. კითხვაზე პასუხი პარლამენტის აპარატის მიერ გადაეცემა კითხვის ავტორს და ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე, პასუხისთვის დადგენილი ვადის გადაცილების აღნიშვნით (ასეთი გადაცილების შემთხვევაში).

პარლამენტის წევრის შეკითხვაზე/ინტერპელაცია პასუხის გაცემის ვადები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს. შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას.	შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პლენარულ სხდომას. ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი პარლამენტში წარსდგება როგორც წესი ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ, კერძოდ, მარტის, მაისის, სექტემბრის და ნოემბრის თვეში, თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს და უპასუხებს იმ შეკითხვებს, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა.

პარლამენტის წევრის შეკითხვაზე/ინტერპელაცია პასუხის გაცემის პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დროს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე შესაბამის თანამდებობის პირთან შეთანხმებით. შეკითხვის ავტორს უფლება აქვს, ცალკეული საკითხის დაზუსტებისათვის მომხსენებელს მიმართოს ერთხელ, არაუმეტეს 3 წუთით. მომხსენებლის მიერ საბოლოო პასუხის გაცემის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლები მთავრდება.	პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავდაპირველად შეკითხვის ავტორს ეძლევა 10 წუთი, ხოლო შემდეგ, შეკითხვის ადრესატს - 20 წუთი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 10 წუთით. შეკითხვის ავტორს უფლება აქვს, დამაზუსტებელი კითხვით ადრესატს მიმართოს ერთხელ, არა უმეტეს 3 წუთით. პასუხის დაზუსტებისათვის ადრესატს განესაზღვრება 10 წუთი. შესვენების შემდეგ იმართება დებატები შემდეგი წესით: უმრავლესობასა და უმცირესობას ეძლევა თითოეულს 45 წუთი, თითოეულ ფრაქციას, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში და უმცირესობაში და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრებს - 15 წუთი, თავდაპირველად სიტყვით გამოდიან იმ ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში, შემდეგ უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლები - ამ თანამიმდევრობით.

დებატები პარლამენტის წევრის შეკითხვაზე/ინტერპელაცია პასუხის გაცემის შემდეგ

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის გათვალისწინებული	დებატებისა და ადრესატის დასკვნითი გამოსვლის დასრულების შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს დადგენილება.

5. საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისია

- დროებითი საგამოძიებო კომისია

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძვლები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
ინფორმაცია: • სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; • სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ; • რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.	ინფორმაცია: • სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; • სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ.

კომისიის შექმნისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა[6]

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა	პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3.

კენჭისყრის პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს კენჭს უყრის პლენარულ სხდომაზე **დამსწრეთა ხმების უმრავლესობით**, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3-სა. დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა კანდიდატურების წარდგენის შემდეგ კენჭი ეყრება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტს.	უქმდება ორმაგი კენჭისყრა. პარლამენტი კენჭს უყრის დადგენილების პროექტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. პარლამენტის **სრული შემადგენლობის 1/3-ის** მხარდაჭერის შემთხვევაში **მოწინააღმდეგეთა ხმები მხედველობაში არ მიიღება**.

კომისიის თავმჯდომარის არჩევა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.	დროებითი საგამოძიებო კომისია უმრავლესობით.

- სხვა დროებითი კომისია

კომისიის შექმნის საფუძვლები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
• ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებით • პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად, თუ საქმე შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს. • სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად.	პარლამენტის წინაშე მდგარი სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის იმ არამუდმივი ამოცანის შესრულების მიზნით, რომლის განხორციელებაც საჭიროებს საკითხის კოლეგიურ შესწავლას და გადაწყვეტას.

6. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების სხდომებზე მიწვევა, მინისტრის საათი

სხდომებზე დასწრების ვალდებულება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტის მიერ არჩეული პირი, ის თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც თანხმობა მისცა პარლამენტმა, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, კომიტეტის, საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის, უმრავლესობის, უმცირესობის სხდომას. საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია ფრაქციის სხდომებს.	გაუქმდა ფრაქციის, უმრავლესობის და უმცირესობის სხდომაზე ანგარიშვალდებულ პირთა დასწრების ვალდებულება.

პლენარულ სხდომებზე პირის მიწვევის წესი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტი, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/5-სა, იღებს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ. აღნიშნული პირი პარლამენტის წინაშე წარსდგება ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს 16 საათიდან 19 საათამდე.	პარლამენტი, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3 პლენარულ სხდომაზე იწვევს მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს. აღნიშნული პირი პარლამენტის წინაშე წარსდგება როგორც წესი ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს.

პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის პროცედურა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
მოწვეული პირის მიერ შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დროს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე შესაბამის თანამდებობის პირთან შეთანხმებით. პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ცალკეული საკითხის დაზუსტებისათვის მომხსენებელს მიმართოს ერთხელ, არა უმეტეს 3 წუთით. მომხსენებლის მიერ საბოლოო პასუხის გაცემის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლები მთავრდება მოსმენილი საკითხები შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი, რისთვისაც გადაწყვეტილების პროექტის მოსამზადებლად შეიძლება შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არის ამ საკითხების ინიციატორთა არანაკლებ თითო წარმომადგენელი.	მოწვეული პირი ისაუბრებს იმ საკითხზე, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა. განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით, თანამდებობის პირს სიტყვით გამოსვლისთვის ეძლევა 30 წუთი, რის შემდეგაც პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას და მოისმინონ პასუხები.[7] თანამდებობის პირის სიტყვით გამოსვლის და კითხვა-პასუხის შემდეგ იმართება **პოლიტიკური დებატები**. თანამდებობის პირის მოსმენის შემდეგ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს დადგენილება.

მინისტრის საათი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის გათვალისწინებული.	წელიწადში არანაკლებ ერთხელ, მთავრობის ცალკეული წევრი, *გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრისა*, წარადგენს მოხსენებას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის შესაბამისი კომპონენტის შესრულების შესახებ. მოხსენება, ასევე, უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც რეგლამენტით დადგენილი წესით მინისტრის წინაშე იქნება დასმული. მთავრობის ცალკეული წევრების პარლამენტში წარდგენის განრიგს, მთავრობის წევრებთან შეთანხმებით და კომიტეტების ინიციატივების გათვალისწინებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენს პარლამენტის ბიურო.

კომიტეტის სხდომაზე მიწვევა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.	მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი,[8] პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. განსაზღვრული პირი კომიტეტის სხდომას სავალდებულო წესით უნდა დაესწროს კომიტეტის წევრების არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით.[9]

7. ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა

ანგარიშვალდებული ორგანოების განსაზღვრა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის განსაზღვრული ანგარიშვალდებული ორგანოსა და ანგარიშვალდებული პირის განმარტება	განისაზღვრა ანგარიშვალდებული ორგანო და ანგარიშვალდებული თანამდებობის პირთა კატეგორია: • *ანგარიშვალდებული ორგანო*-ორგანო, რომელიც კონსტიტუციის ან საკანონმდებლო აქტის შესაბამისად პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს, ან რომლის სხვა სახით ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი • *ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი* - პირი, მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც კონსტიტუციის ან საკანონმდებლო აქტის თანახმად პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის სხვა სახის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი.

ანგარიშების განხილვის წესი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
რეგლამენტი არასისტემატიზირებულად განსაზღვრავს ცალკეული ანგარიშების განხილვის პროცედურას.	პროექტში განსაზღვრულია დამოუკიდებელი ორგანოს ანგარიშების განხილვის ზოგადი წესი

საჯარო ინფორმაციის თაობაზე ე.წ „10 დეკემბრის ანგარიშები"

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
საჯარო ინფორმაციის თაობაზე ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშები" წარედგინება ბიუროს. ანგარიშების განხილვის წესს რეგლამენტი არ ითვალისწინებს	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი შეიმუშავებს და ბიუროს წარუდგენს ერთიან დასკვნას საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ. ბიუროს კი თავის მხრივ საკითხი განსახილველად შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. კომიტეტი უფლებამოსილია დაიბაროს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი და მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ანგარიშის შესახებ. პარლამენტი იღებს დადგენილებას საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშების შეფასების და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე.

8. აუდიტის სამსახურის საქმიანობის და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერების შესწავლა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
შესაძლებელია შეიქმნას დროებითი კომისიის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური აუდიტის განახორციელების მიზნით.	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერების კონტროლისათვის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი თავის წევრებისგან ქმნის კომიტეტთან არსებულ აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს.[10] სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს აუდიტის სამსახურის საქმიანობის წლიური ანგარიშების, აუდიტის სამსახურის მიერ უწყებებთან მიმართებით შემუშავებული ანგარიშების განხილვა, შეფასება და შესაბამისი წინადადებების წარდგენაც. სამუშაო ჯგუფი აკონტროლებს პარლამენტის მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

9. ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
პარლამენტი კომიტეტების მეშვეობით აკონტროლებს: • პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას; • საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას.[11]	პარლამენტი კომიტეტების მეშვეობით აკონტროლებს: • პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას; • საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას • აანალიზებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რა დროსაც საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად პარლამენტს ექნება შესაძლებლობა მიიღოს შესაბამისი ზომები.

10. თანამდებობის პირთა კანდიდატურების განხილვის პროცესი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
თანამდებობის პირთა არჩევისა და თანხმობის მიცემის შესახებ პროცედურა განსაზღვრულია თითოეული თანამდებობისათვის. **კომიტეტები არ არიან ვალდებულები განიხილონ კანდიდატურები.**	სისტემატიზირებული სახით განისაზღვრება არჩევის პროცესი. **დგინდება როგორც კომიტეტზე, ასევე, პლენარულ სხდომაზე კანდიდატის მოსმენის ვალდებულება**. ბიუროს მიერ განსაზღვრული კომიტეტი მოიძიებს/გადაამოწმებს კანდიდატებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, მათ ბიოგრაფიულ ცნობებს, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ ინფორმაციას. კანდიდატები ვალდებულნი არიან კომიტეტს სრულყოფილად მიაწოდონ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია. შესაბამისი კომიტეტი სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს, რის შემდეგაც შეიმუშავებს დასკვნას.

11. თემატური მომხსენებელი, თემატური მოკვლევის ჯგუფი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არის გათვალისწინებული.[12]	აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, პარლამენტის წევრთაგან კომიტეტის ან პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოების გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს მომხსენებელი (თემატური მოკვლევის მომხსენებელი) ან მომხსენებელთა ჯგუფი (თემატური მოკვლევის ჯგუფი), რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

შეფასება და რეკომენდაციები

საპარლამენტო ზედამხედველობა დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ეფექტური კონტროლი წარმოადგენს კარგი მმართველობის განხორციელებას. კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, საქართველო სრულად გადავიდა მართვის საპარლამენტო მოდელზე, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება.

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" წარმოადგინა კვლევა, რომელიც ანალიზთან ერთად მოიცავდა რეკომენდაციებს საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების ნაწილი გაზიარებულია წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტში, კერძოდ:

- პარლამენტის რეგლამენტის მიერ დებატების წახალისება, კერძოდ პრემიერ-მინისტრის მოხსენებისა და ინტერპელაციის შემდეგ დებატების გამართვის შესაძლებლობა;
- პარლამენტის წევრის კითხვისათვის შინაარსობრივი რეგულირების ჩარჩოს დადგენა;[13]
- დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის დროს ორეტაპიანი კენჭისყრის გაუქმება;
- საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიზნით საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშების განხილვის პროცედურის განსაზღვრა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის მხრივ თანამშრომლობის ფორმატის გაზრდა.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეიცავს რიგ მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერების მიმართულებით, კერძოდ:

- მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის გამარტივება;
- სამთავრობო პროგრამის შესახებ მოხსენების წარდგენა პრემიერ-მინისტრის მიერ. ასევე სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის სხდომებზე განხილვის შესაძლებლობა. ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია პოლიტიკური დებატები;
- პარლამენტის წევრის კითხვისა და შეკითხვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ასევე ინტერპელაციის ინსტიტუტის განსაზღვრა;
- მინისტრის საათის შემოღება;
- თემატური მომხსენებლის ინსტიტუტის დანერგვა;
- საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის ორეტაპიანი კენჭისყრის პროცედურის გაუქმება;
- სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესაძლებლობათა გაფართოება;
- საჯარო ინფორმაციის შესახებ ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების" სხდომებზე განხილვის პროცედურების განსაზღვრა და მასზე ზედამხედველობის მექანიზმების ჩამოყალიბება;
- დამოუკიდებელი ორგანოს ანგარიშების განხილვის ზოგადი წესის დადგენა;
- თანამდებობის პირთა არჩევის პროცესის დახვეწა.

პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია რეგლამენტის პროექტში დაიხვეწოს შემდეგი საკითხები:

- პროექტის შესაბამისად, მთავრობის წევრის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის კომიტეტზე დაბარების უფლება აქვს კომიტეტის წევრთა არანაკლებ ¼.[14] რეგლამენტის პროექტით უქმდება ფრაქციის მიერ ანგარიშვალდებული პირის ფრაქციის სხდომაზე დაბარების უფლება. აღნიშნული ნორმის გაუქმების შემთხვევაში რეგლამენტი უნდა უზრუნველყოფდეს ოპოზიციის უფლებას კომიტეტის სხდომაზე დაიბაროს თანამდებობის პირი საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. რეგლამენტის პროექტის ჩანაწერი ოპოზიციურ ფრაქციებს ართმევს ანგარიშვალდებული პირების კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირების დაბარების შესაძლებლობას;
- პარლამენტის წევრის კითხვის შემთხვევაში სადაც რეგლამენტი უთითებს რომ კითხვა უნდა შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს, პროექტი არ ითვალისწინებს თუ რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუკი პარლამენტის წევრმა არათემატური კითხვა დასვა (მაგ. არ ტარდება კითხვა რეგისტრაციაში, მთავრობის წევრი არ არის ვალდებული უპასუხოს დასმულ კითხვას და აშ.), მიზანშეწონილია ეს ჩანაწერი იყოს განჭვრეტადი. ანგარიშვალდებულ პირს ჰქონდეს ვალდებულება კითხვაზე პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში წარადგინოს კითხვაზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი. ხოლო მიზეზის წარუდგენლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყოს სანქცია (მაგ. ფულადი ჯარიმა) ან მინისტრის პასუხიდან გამომდინარე პარლამენტს ჰქონდეს უფლება მიიღოს რეზოლუცია და პრემიერ მინისტრს მიმართოს რეკომენდაციით მინისტრის პასუხისმგებლობის შესახებ;
- პარლამენტს უნდა შეეძლოს რეკომენდაციით მიმართოს პრემიერ-მინისტრს დადგეს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მინისტრი არ დაესწრება მინისტრის საათს;
- დროებითი საგამოძიებო კომისიასთან მიმართებაში შეზღუდულია საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძვლები და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხებზე ვერ მოხდება კომისიის შექმნა. მიზანშეწონილია აღნიშნული შემთხვევა კვლავ დარჩეს საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძვლად. სხვა დროებითი კომისიის შექმნის შესაძლებლობის არსებობა ზღუდავს საგამოძიებო ფუქნციების განხორციელებას, ამიტომ მიზანშეწონილია ეს შესაძლებლობა არსებობდეს საგამოძიებო კომისიის ფარგლებში. დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ სრული დაშვება იმ საგამოძიებო მასალებზეც, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, ამასთან ერთად სისხლის სამართლის მასალებზე წვდომისათვის მიზანშეონილია არ არსებობდეს მთავარი პროკურორის თანხმობის საჭიროება;
- კანონქვემდებარე აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებასთან მიმართებაში მიზანშეწონილია მკაფიოდ ჩანდეს რა სახის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია კომიტეტს;
- მიზანშეწონილია ოპოზიციის როლის გაძლიერების მიზნით, ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებდეს კომიტეტის თავმჯდომარეებად უმცირესობის წარმომადგენლების დანიშვნას. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, გარკვეული კომიტეტის თავმჯდომარეები არიან ოპოზიციის წარმომადგენლები ან თავმჯდომარის თანამდებობაზე სახელისუფლებო პარტია და ოპოზიცია როტაციის წესით ენაცვლება ერთმანეთს. ძირითად შემთხვევებში ოპოზიციის წარმომადგენელი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება;
- რეგლამენტში განისაზღვროს დამოუკიდებელი ორგანოების განმარტება და ზოგად წესთან ერთად განისაზღვროს მათ მიერ ანგარიშების წარდგენისა და განხილვის წესი.

---

1 ზედამხედველობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთოების სექტორზე მისი განხორციელება, რაზეც ცალკე ბლოგი იქნება წარმოდგენილი.

2 რეგლამენტის ცვლილებები იმეორებს საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსს

3 სიითი შემადგენლობა არის დეპუტატთა ის რაოდენობა, რამდენსაც იმ მომენტისთვის აქვს პარლამენტის წევრის სტატუსი

4 სრული შემადგენლობა არის პარლამენტის 150 წევრი

5 პრეზიდენტის უარის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია წარადგინოს პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურა. პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის მხადაჭერის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია 3 დღის ვადაში წამოაყენოს მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა.

6 კომისიის შექმნისათვის დაბალი კვორუმის დაწესება გამოწვეულია საკონსტიტუციო ცვლილებებით

7 თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 30 წამით, დაზუსტების უფლების გარეშე. პარლამენტის წევრს უფლება აქვს შეკითხვით გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი პარლამენტის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

8 მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც კონსტიტუციის ან საკანონმდებლო აქტის თანახმად პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის სხვა სახის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი

9 მოწვევის შესახებ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს კომიტეტის სხდომაზე მოსაწვევ პირთან ერთად განსახილველი საკითხ(ებ)ის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ პირს უფლება აქვს არ ისაუბროს იმ საკითხების გარშემო, რომლებიც რეგლამენტით დადგენილი წესით მისთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი. ახალი რეგლამენტი განსაზღვრავს ასევე სიტყვით გამოსვლის პროცედურულ წესებს.მოხსენების დასრულების შემდეგ 30 წუთის განმავლობაში პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ, მოხსენების თაობაზე შეკითხვებით მიმართონ მას და მოისმინონ პასუხები. თავდაპირველად შეკითხვას სვამს მოწვევის ინიციატორი. შეკითხვების დრო სამართლიანად უნდა განაწილდეს უმცირესობას, უმრავლესობას და უმცირესობისა და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ ფრაქციებს/პარლამენტის წევრებს შორის. პარლამენტის წევრს უფლება აქვს შეკითხვით გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამდებობის პირი პარლამენტის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ცალ- ცალკე უპასუხებს.

10 სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. აღნიშნული ჯგუფი ანგარიშვალდებულია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინაშე. სამუშაო ჯგუფის სხდომები საჯარო,ა სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მოიწვიოს თვეში ერთი სხდომა მაინც.

11 პარლამენტი, საჭიროების შემთხვევაში, იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტების აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილების შეტანის რეკომენდაციით (დავალებით).

12 მსგავსი უფლებამოსილებების (თუმცა არასრული სახით) მქონეა კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფის ფორმატები და დროებითი კომისიები: პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს.

13 რეგლამენტის პროექტის თანახმად, კითხვის შინაარსი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მაქსიმალურად კონკრეტულად და მკაფიოდ შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს.

14 კანონპროექტის პირველი მოსმენის შემდეგ მიღებული ნორმა გაუარესებულია ინიცირებულ ვერსიასთან შედარებით. ინიცირებულ ვერსიაში ფრაქციას ჰქონდა უფლება კომიტეტზე დაებარებინა ანგარიშვალდებული პირი თუ ერთი წარმომადგენელი მაინც ჰყავდა კომიტეტში. არსებული შემადგენლობების გათვალისწინებით (23.10.2018), უმცირესობაში შემავალი ფრაქციები მხოლოდ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში შეძლებენ ანაგრიშვალდებული პირის დაბარებას კომიტეტის დარგობრივი სპეციალიზაციის გათვალისიწნებით, ხოლოდ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა" და ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები" ვერცერთ კომიტეტზე ვერ შეძლებენ ანგარიშვალდებული პირის მიწვევას, რადგან კომიტეტის წევრთა ¼ რაოდენობა არცერთ კომიტეტში არ ყავთ. ვრცლად ინფორმაცია კომიტეტის შემადგენლობისა და დაბარების მოთხოვნის უფლების განხორციელების შესახებ იხილეთ ცხრილში.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ეს ბლოგი მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" დაფინანსებული პროექტის „პარლამენტის ანგარიშვალდებულების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაძლიერების" ფარგლებში. ბლოგში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.